ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173133155**

თარიღი: **09.11.2017**

ადრესატი:
დავით გაჩეჩილაძე
პირადი ნომერი: 01024017635
მისამართი: თბილისი მ.ჩახავას ქ. N 7 ბ. 14

ბატონო დავით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/0117298377-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/0117298377-17

"08." 11. 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. №18/რუსთაველის გამზირის №7–ში (საკ. კოდი №01.15.04.024.012) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/მუზეუმი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2619959 27.05.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. №18/რუსთაველის გამზირის №7–ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

„A-K" ფასადზე „A-F" მონაკვეთში სახურავზე დამატებულია დეკორატიული ელემენტი. „F-G" მონაკვეთში, ღიობში დამატებულია კარი.

„12-11" მონაკვეთში „12-12" ღერძის გარეთ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. „12-8" მონაკვეთში შეცვლილია საფასადე ქვის გაბარიტი. +12.15 ნიშნულზე დამატებულია მინის მოაჯირი. „9-8" მონაკვეთში, ღიობში მოწყობილია კარი.

„K-A" ფასადი ვიტრაჟზე დამატებულია გისოსი. დამატებულია კონდიციონერი. „12-12" ღერძის გარეთ ლითონის კონსტრუქცია არ არის აღნიშნული პროექტში.

მესამე სართულზე „10-12" მონაკვეთში აუზის კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი. „11-8" მონაკვეთში დამატებულია კიბე, ანტრესოლი და საჩრდილობელი. მეოთხე სართულზე დამატებულია მინის მოაჯირი. „8-6" მონაკვეთში კიბის თავზე მოწყობილია მინის გადახურვა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „მაგთი"-ს, ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. №18/რუსთაველის გამზირის №7–ში (საკ. კოდი №01.15.04.024.012) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/მუზეუმი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117298377-17 25.10.2017 წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვეკუა